



ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION



გზამკვლევი სურსათის ბიზნესოპერატორებისთვის

„საჭარო სტრუქტურებთან ურთიერთობა“





ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა



გზამკვლევი სურსათის ბიზნესოპერატორებისთვის

„საჭარო სტრუქტურებთან ურთიერთობა“

2017



გზამკვლევი მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ყაზბეგის განვითარების ჯგუფი“ ფარგლებში.
გამოცემულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“-ის დაფინანსებით.
ფინანსური უზრუნველყოფა: ENPARD

გზამკვლევზე იმუშავეს:

თამარ ნოზაძემ - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;
სურსათის უვნებლობის ტრენერი - არასამთავრობო ორგანიზაცია „People in Need Georgia“;
არასამთავრობო ორგანიზაცია „CARE International in the Caucasus“ -

რუსუდან წიკლაურმა - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;
სურსათის უვნებლობის ტრენერი არასამთავრობო ორგანიზაცია „People in Need Georgia“;

არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision“;



People in Need
გ. ქიქოძის #16. 0105 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 92 00 15

შინაქრსი

არასამთავრობო ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ შესახებ	7
არასამთავრობო ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ სურსათის უვნებლობის პროექტების შესახებ	9
აკრინიმა და ტერმინთა განმარტება	10
სურსათის უვნებლობა	12
საქართველოში მოქმედი სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო ბაზა	13
სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები	18
ლაბორატორიები	24
როგორ დავიწყოთ საქმიანობა?	26
სერტიფიცირება	30
პასუხისმგებლობა	37
საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდულიცირებული პროდუქტის ტიკეტირების შესახებ	41

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია სურსათის საწარმოო
ჯაჭვში მონაწილე ყველა რგოლის ბიზნესოპერატორებისთვის, რომლის
მიზანია საჯარო სტრუქტურებთან ურთიერთობისა და შესაბამისი ინფორმაციის
მოძიების ხელმისაწვდომობა.

ქრესამთავრობო ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ შესახებ

ორგანიზაციამ „ფიფლ ინ ნიდ“ საქართველოში ფუნქციონირება 2006 წელს, საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნებული მოსახლეობის რეინტეგრაციის ხელშეწყობით დაიწყო. დღესდღეობით, საქმიანობის დაწყებიდან 10 წლის თავზე, PIN-ის მისია საქართველოში საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა ამოსავალ პრინციპს კვლავ წარმოადგენს გაჭირვებაში მყოფი ადამიანების უზრუნველყოფა უფლებით თავისუფლად განკარგონ საკუთარი სიცოცხლე. საქართველოში PIN-ის საქმიანობის მთავარი მიზანია სიღარიბისა და უთანასწორობის დაძლევა, განსაკუთრებით სოფლად, შემდეგი მიდგომების გამოყენებით: 1) ღარიბი მოსახლეობის მიერ ეკონომიკური ზრდიდან სარგებლის მაქსიმალურად მიღება (სოფლის მეურნეობის განვითარება) 2) მოსახლეობის, ორგანიზაციებისა და ქსელების შესაძლებლობების გაძლიერება, მათ მიერ ცვლილებების ადვოკატირებისა და შემდგომი დანერგვის მიზნით (სამოქალაქო საზოგადოების განვითარება) და 3) საზოგადოების უკიდურესად ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფების დაცვა, რომლებიც დარჩენილნი არიან პროცესებს მიღმა (სოციალური დაცვა და ინტეგრაცია). დღესდღეობით, PIN-ი თავის საქმიანობას ახორციელებს თბილისში, ქუთაისსა და ყაზბეგში მოქმედი ცენტრალური ოფისების საშუალებით და თანამშრომლობს 10-ზე მეტ ადგილობრივ პარტნიორულ ორგანიზაციასთან. PIN-ში დასაქმებულია 25-ზე მეტი ადგილობრივი თანამშრომელი, ასევე 3 უცხოელი ექსპატი.

სოფლის მეურნეობა და სასოფლო სექტორის განვითარება

PIN ხელს უწყობს მცირე გლეხებისა და მათი ოჯახების მიერ სიღარიბიდან თავის დაღწევას. PIN უზრუნველყოფს ფერმერული კოოპერატივების შექმნას, მათ წვდომას ინფორმაციის, ბაზრებისა და სერვისებისადმი, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია მათი საარსებო წყაროს გასავითარებლად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, PIN-ი ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს, ფერმერებიდან დაწყებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული ასოციაციების ჩათვლით და ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების გაძლიერებას. PIN-მა დანერგა LEADER მიდგომა საქართველოში და შექმნა ადგილობრივი მოქმედების ჯგუფები, რომლებიც თავად განსაზღვრავენ თუ რა ტიპის ინვესტიციებია საჭირო სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის და ახალგაზრდების სოფლად დარჩენის შესაძლებლობებით უზრუნველყოფის მიზნით.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ადგილობრივი მმართველობა

PIN-ის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები კონსტრუქციულად იქნებიან ჩართულნი ადგილობრივ თემში არსებული მწვავე საკითხების მოგვარების პროცესში. ამ მიზნით, PIN-ი იყენებს თანამონაწილეობრივი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს. კერძოდ, ორგანიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების შესაძლებლობების ამაღლებას. PIN-ი გასცემს გრანტებს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მუნიციპალიტეტებსა და აქტიურ მოქალაქეებზე, კერძოდ კი, ახალგაზრდებზე და ამგვარად, ხელს უწყობს მათ მიერ საზოგადოებრივი საკითხების ერთობლივი გადაჭრის მცდელობებს; ამავდროულად, PIN-ის მიზანია წახალისოს ადგილობრივი პროცესების დაფინანსება თავად ამ ერთეულების მიერ.

სოციალური დაცვა და ინტეგრაცია

ჩეხეთის რესპუბლიკაში მიღებული მდიდარი გამოცდილების საფუძველზე, PIN-ი ახდენს ეფექტური მექანიზმების დანერგვას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობის, სოციალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესების და სასოფლო რეგიონებში სერვისების მაქსიმალური მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით; PIN-ის მიზანს ასევე წარმოადგენს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა. გრანტების, ტრენინგების და სემინარების საშუალებით, PIN ახდენს სოციალურად დაუცველი ადამიანების დამწყები ბიზნესების ხელშეწყობას და სოციალური საწარმოების დაფუძვნებას. ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, როგორცაა დოკუმენტური ფილმების მეშვეობით ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობაში დებატების პროვოცირება, PIN-ი ცდილობს დაარღვიოს სოციალურად დაუცველი ჯგუფების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმა.

მიმდინარე პროექტების ძირითადი დამფინანსებლები ევრო კომისია, ჩეხეთის მთავრობა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) გახლავთ.

ერასომათავრობო ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ სურსათის უვნებლობის პროექტების შესახებ

„ფიფლ ინ ნიდ“-ი ახორციელებს პროექტს - „ევროკავშირის ფიტოსანიტარული სტანდარტები საქართველოსთვის“. პროექტი დაფინანსებულია USAID-ის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოში ფიტოსანიტარული სტანდარტების განვითარებას ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. პროექტი, რომლის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 18 თვით, ხოლო ბიუჯეტი - 198,000 ევროთი, მოიცავს სრულიად საქართველოს.

აკრონიმებისა და ტერმინთა განმარტება

1. ადგილწარმოშობის დასახელება - გეოგრაფიული ადგილის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის (შემდგომში-გეოგრაფიული ადგილი) თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად: ა) რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან; ბ) რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით; გ) რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში;
2. აკრედიტებული ლაბორატორია - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც შეტანილია აკრედიტაციის სისტემის სახელმწიფო რეესტრში, ან საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია;
3. აღიარება - რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება;
4. ბიოწარმოება - მეურნეობის მართვის ერთიანი სისტემა წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, შეესაბამება ბიოწარმოების წესით დადგენილ მოთხოვნებს წარმოების, გადამუშავების, შენახვის, შეფუთვის, ტრანსპორტირების, ეტიკეტირების/ნიშანდების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის ეტაპებზე, რაც დადასტურებულია შესაბამისობის სერტიფიკატით;
5. ბიზნესოპერატორი - პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას და რომელიც პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის;

6. გეოგრაფიული აღნიშვნა - სპეციფიკური ადგილის, რეგიონის ან ქვეყნის სახელი, რომელიც გამოიყენება იქ წარმოებული ისეთი პროდუქტის აღსანიშნავად, რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები განპირობებულია იმ ადგილისთვის დამახასიათებელი გარემო პირობებითა და ადამიანური ფაქტორით;
7. მაღალმთიანი რეგიონი - გეოგრაფიული არეალი, რომელიც შეესაბამება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიანი რეგიონის ცნებას;
8. ოჯახური წარმოება – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით;
9. საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში;
10. საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
11. პირველადი წარმოება – პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას (მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით); ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას
12. ENPARD - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა;
13. DCFTA - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება;
14. LAG - ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი.

სურსათის უვნებლობა

სურსათის უვნებლობა გულისხმობს, სურსათით გამოწვეული რისკებისაგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. ეს არის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც კონკრეტული სასურსათო პროდუქტი მისი მიზნობრივი მომზადების ან/და მოხმარების შემთხვევაში ზიანს არ მიაყენებს მომხმარებლებს.

საქართველოში სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა იწყება 2012 წლიდან, ხოლო 2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას და მის განუყოფელ ნაწილს – შეთანხმებას „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის DCFTA“ შესახებ. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „საქართველოს სურსათის უვნებლობის დაახლოების გეგმა“ და დანერგა სურსათის უვნებლობის პირველი სტრატეგია, რომლის მიზანია, საქართველოში შემოიღოს სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტები, რომელიც საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის ხელმისაწვდომს გახდის ევროკავშირის ბაზარს, რაც ნიშნავს:

- ✓ სტაბილურ ბაზარს;
- ✓ მზარდ ფასებს და მზარდ მოთხოვნას სურსათზე;
- ✓ ჯანსაღ და გამჭვირვალე კონკურენტუნარიან გარემოში საქმიანობას.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სრული კვებითი ჯაჭვის ე.წ. „ფერმიდან-სუფრამდე“ კონტროლს და ვრცელდება წარმოების, მ.შ პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.

ვინაიდან სურსათის უვნებლობას პირდაპირი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, ბიზნესოპერატორი, პირველ რიგში ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და კონტროლი.

საქართველოში მოქმედი სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო ბაზა:

- ✓ „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
- ✓ საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესის“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №441 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებით დამტკიცებული „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებით დამტკიცებული „ბიზნესოპერატორის აღიარების წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის #714 დადგენილება „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №78 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი კვების ორგანიზაცია ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში“;

- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №320 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №578 დადგენილებით დამტკიცებული „ევროკავშირის სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემაში (RASFF) ინტეგრაციის უზრუნველყოფის ღონისძიების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №577 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში მიკვლევადობის ზოგადი პრონციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 ოქტომბრის №543 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის N#567 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის #430 დადგენილება „ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის #639 დადგენილებით დამტკიცებული „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერე-

ბების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი;

- ✓ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის #370 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულებისა და წონის კონტროლის მიზნით რაციონის სრულად ჩანაცვლებისათვის განკუთვნილი სურსათის შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #2 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი „მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის შესახებ“;
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 6 თებერვლის #2-41 ბრძანებით დამტკიცებული „სურსათის (ღვინისა და ღვინის ბრენდის, ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის გარდა) ადგილწარმოშობის დასახელების ან/და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისათვის და სურსათის (ღვინისა და ღვინის ბრენდის, ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის გარდა) რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან/და გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციისათვის საჭირო კანონმდებლობით განსაზღვრულ მონაცემთა შესწავლის, დადგენისა და შესაბამისი დასკვნის გაცემის წესი“;
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის #2-49 ბრძანებით დამტკიცებული „მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირს რეგისტრაციისათვის საჭირო კანონმდებლობით განსაზღვრულ მონაცემთა შესწავლის, დადგენის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების წესი“;
- ✓ საქართველოს პრემიერენტის 2002 წლის 28 თებერვლის ბრძანებულება №88 „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #3 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების შესახებ“;

- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #10 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი საცალო ვაჭრობაში დაუფასოებელი პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის ჰიგიენური პირობების და წესების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის #111 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 სექტემბრის #165 დადგენილებით დამტკიცებული „ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის #198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის #301 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“;
- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ნრძანებით დამტკიცებული „ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი“ სანიტარიული წესები და ნორმები სანწდან 2.3.2.00 -00;
- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #303/ნ ნრძანებით დამტკიცებული „საკვები პროდუქტები და მათი დანამატები განსაკუთრებით მალეუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობები და ვადები“ Conditions and periods to Perishable Goods სანიტარიული წესები და ნორმები სანწდან 2.3.2. 000 – 00;
- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 ნოემბრის #304/ნ ნრძანებით დამტკიცებული „კონსერვების სანიტარიულ-ტექნიკური კონტროლის წესი სამრეწველო საწარმოებში,საბითუმო ბაზებში, საცალო ვაჭრობაში და საზოგადოებრივი ქვების ობიექტებში ინსტრუქცია“ ინსტრ. 2.3.4. 007-03;
- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აქვისტოს #304/ნ ნრძანებით დამტკიცებული „2.3.4. კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები

(ტექნოლოგიური პროცესი, ნედლეული) Sanitary rules for deary product enterpraises სანიტარული წესები 2.3.4.00. – 00

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #311/ნ ნრძანებით დამტკიცებული „საკვებდანამატების გამოყენების სანიტარული წესები და ნორმები სანიტარული წესები და ნორმები“ სწდნ 2.3.2. 000-00;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის #508 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის #510 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბერი #585 დადგენილებით დამტკიცებული „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერი #719 დადგენილებით დამტკიცებული „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის #456 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის ლოტის აღნიშვნის წესი“;

სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილება და ვალდებულება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითად ფუნქციას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს. სამინისტროს ამოცანებია: აგრარული რეფორმების განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამამუშავებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; საექსპორტოპოტენციალისგამოყენების,საერთაშორისობაზარზეპოზიციების მოპოვებისა და განმტკიცების ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ტექნოლოგიების განახლებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

*მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6,
სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ცხელი ხაზი: +995 (32) 2 47 01 01
ვებ-გვერდი: <http://moa.gov.ge>
ელ ფოსტა: infomoa@moa.gov.ge*



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები:

- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებები და ფუნქციები:
 - ✓ სურსათის სახელმწიფო კონტროლი;
 - ✓ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა,
 - ✓ ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი;
 - ✓ სურსათის /ცხოველის საკვების, ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარული რისკის შეფასების საფუძველზე რისკის მართვა და კომუნიკაცია;

- ✓ წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიის მინიჭება;
- ✓ საზოგადოების უზრუნველყოფა დროული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციით საფრთხეებისა და შესაძლო რისკების თაობაზე;
- ✓ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირება;
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ✓ ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს კრიზისული მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა;

მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ-გელოვანის გამზ. #6;

სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;

სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;

ტელ/ფაქსი: +995 (32) 2 91 91 68

ელ.ფოსტა: info@nfa.gov.ge

ვებ-გვერდი: <http://nfa.gov.ge>



- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობები და ფუნქციონება:
 - ✓ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულირება;
 - ✓ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებსა და ღვინის ბრენდებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
 - ✓ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელებზე შესაბამისობისა და წარმოშობის სერტიფიკატების გაცემა;
 - ✓ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტირება და მისი კონტროლი;
 - ✓ მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
 - ✓ დარგთან დაკავშირებული სამარკეტინგო და სარეკლამო საქმიანობა;
 - ✓ ალკოჰოლიანი სასმელების დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და სემინარების მოწყობის ხელშეწყობა;

მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ
გელოვანის გამზირი #6,
სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ცხელი ხაზი: +995 (32) 2 47 01 01
ვებ-გვერდი: <http://georgianwine.gov.ge>
ელ ფოსტა: info.georgianwine@georgianwine.gov.ge



- სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ ფუნქციებია: ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის გარდა, შვეიდა მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა და საკვები პროდუქტების ექსპერტიზა. შესაბამისად, ამჟამად, თანამედროვე მეთოდებისა და აპარატურის მეშვეობით, კვლევები მიმდინარეობს სამივე მიმართულებით.

მისამართი: ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქ. #49;
სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ტელ. +995 (32) 2 53 09 68
ელ-ფოსტა: contact@lma.gov.ge
ვებ-გვერდი: <http://lma.gov.ge>



- სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ფუნქციები და საქმიანობის საგანია:
 - ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების მიზნით შესაბამისი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;
 - ✓ კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კონსულტაციების გაწევა სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ, წარმოების ტექნოლოგიებსა და სხვა საკითხებში;
 - ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის შექმნა,
 - ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა;

- ✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კადრების მომზადებასა და გადამზადებაში, ასევე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა;

მისამართი: ქ.თბილისი, ვაზისუბნის ქ. #25 ;

სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;

სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;

ცხელი ხაზი: +995 (32) 2 47 01 01

ვებ-გვერდი: <http://acda.gov.ge>



- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიზნებია: ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება, შესწავლა, რეაბილიტაცია და გაუმჯობესება;
 - ✓ საქართველოში ინტროდუცირებული ახალი ჯიშების გამოცდა-შეფასება, ადაპტაცია და გასავრცელებლად დაშვების ხელშეწყობა;
 - ✓ კონდიცირებული სათესლე და სარგავი მასალის წარმოების, სტანდარტიზაციისა და სერთიფიცირების სისტემის შექმნა;
 - ✓ საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა -გაუმჯობესება;
 - ✓ ბიოაგროწარმოების განვითარება, ეკოლოგიურად სუფთა და ბიოპროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია; სტანდარტებთან ჰარმონიზაცია;
 - ✓ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება;
 - ✓ სურსათში/ცხივების საკვებში გამოვლენილი და პოტენციური რისკის მეცნიერული შეფასება და რეკომენდაციების მომზადება რისკის მართვის ორგანოებისთვის;

მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ-გელოვანის გამზირი #6;

სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;

სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;

ცხელი ხაზი: +995 (32) 2 47 01 01

ვებ-გვერდი: <http://srca.gov.ge>

ელ.ფოსტა: info@srca.gov.ge



ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ძირითად მისიას წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადი ფუნქციები:

- ✓ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტების დაგეგმვა და მართვა;
- ✓ დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოების მართვა

*მისამართი: ქ.თბილისი, ახმეტელის 10ა;
სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ცხელი ხაზი: +995 (32) 2 47 01 01
ვებ-გვერდი: <http://apma.ge>*



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები და ვალდებულებები სურსათის უვნებლობის სფეროში:

- ✓ სურსათის უვნებლობის ნორმებისა და პარამეტრების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- ✓ მომხმარებელთა სპეციალური ჯგუფებისათვის მოთხოვნების (მათ შორის, ბავშვთა და ჩვილ ბავშვთა კვებასთან და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების) განსაზღვრაში მონაწილეობა;
- ✓ სურსათით გამოწვეული დაავადებების მონიტორინგის, კვლევისა და კონტროლის განხორციელება და შესაბამისი მონაცემთა ბაზის წარმოება, რეკომენდაციებისა და წესების შემუშავება დაავადებათა პრევენციის, ეპიდემიამხედველობისა და კონტროლის მიზნით;
- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში კრიზისული მდგომარეობის მართვაში მონაწილეობა და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებით (IHR-2005) დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 144
ტელეფონი: 2 51 00 11
სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ელ-ფოსტა: info@moh.gov.ge
ვებ-გვერდი: <http://moh.gov.ge>



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის ძირითად ფუნქციამოვალეობას სურსათის უვნებლობის სფეროში წარმოადგენს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია მშ ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების რეგულირება, სახელმწიფო აღრიცხვა;

მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #6;
სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 72 72 27
ელ.ფოსტა: pr@moe.gov.ge
ვებ-გვერდი: <https://moe.gov.ge>



სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიები, რომელთა კვლევის სფეროს წარმოადგენს სურსათში სხვადასხვა პარამეტრების კვლევა.

მისამართი: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.#42ა;
ტელ. +995 (32) 2 19 22 33
ელ-ფოსტა: gac@gac.gov.ge
ვებ-გვერდი: <http://gac.gov.ge>

ლაბორატორიები

1. სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. ბათუმი, ქვედა დასახლება სამება
ტელეფონი: 577 57-44-99 / 555 78-70-07
ელ-ფოსტა: samebalab@gmail.com
2. სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია მისამართი: ქ. თბილისი 0159, ვასო გოძიაშვილის ქ. # 49
ტელეფონის ნომერი: +995 32 253 09 68
ელ-ფოსტა: contact@lma.gov.ge
3. შპს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ #17ა
მე-5 კვ. კორპ.#16
ტელეფონი: 599 50-44-33
ელექტრონული ფოსტა: v.gvakharia@gamma.ge
4. შპს „გ.ნათაძის სახ. სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის #78
ტელეფონი: 599 23 45 69
ელექტრონული ფოსტა: info@hygiene.ge
5. შპს „ნორმა“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. #10 (ფაქ. მის: 0179 მექანიზაციის ქუჩა №1/3)
ტელეფონი: 593 32-18-78; 593 22-81- 71
ელექტრონული ფოსტა: 97norma@gmail.com
ელექტრონული ფოსტა: samebalab@gmail.com
6. ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღაშენებლის ხეივანი 240
ტელეფონი: 577 291111
ელექტრონული ფოსტა: testlab@agruni.edu.ge
7. შპს „მიკრობიოლოგი“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. ქუთაისი, განჯის ქ. #15
ტელეფონი: 599 79-87-86

- ელექტრონული ფოსტა: mikrobiologi@mail.ru
- 8.** შპს „ეტალონი“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი 0141, ჩარგლის ქ. #73
ტელეფონი: 599 33-05-51
ელექტრონული ფოსტა: temoexpert@yahoo.com
- 9.** შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“
მისამართი: ქ. ფოთი, მიქაბერიძის ქ.#2
ტელეფონი: 595 92 01 09
ელექტრონული ფოსტა: kvleviscentri@mail.ru
- 10.** შპს „ღვინის ლაბორატორია“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი, დ/დიღმიდან გლდანში მიმავალი
მაგისტრალი 4/60
ტელეფონი: 599 50 77 19
ელექტრონული ფოსტა: wine_labor@hotmail.com
- 11.** შპს „მულტიტესტი“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დიდგორის #13
ტელეფონი: +995 599 57 81 72
ელექტრონული ფოსტა: multitest@wanex.net
- 12.** სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო-ს საგამოცდო ლაბორატორიები
მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#84
ტელეფონი: 599 37-06-00
ელექტრონული ფოსტა: nebralidze@expertiza.gov.ge
- 13.** შპს „ექსპერტიზა +“-ის საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი 0159, მიცხულავას ქ. #1
ტელეფონი: 599 97-02-66
ელექტრონული ფოსტა: mziakharadze@yahoo.com
- 14.** შპს „ციტო 2“-ს საგამოცდო ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი , არაყიშვილის ქ. #2 (ფალიაშვილის #40)
ტელეფონი: 577 75-11-22 / 599 58-91-84
ელექტრონული ფოსტა: cito2ltd@gmail.com
- 15.** შპს „ხარისხის ლაბორატორია Quality Lab “ საგამოცდო
ლაბორატორია
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის პროსპექტი 95ა
ტელეფონი: 577 72 74 07; 599 31 55 15
ელექტრონული ფოსტა: info@qlab.ge; ap_lika@yahoo.co

როგორ დავიწყოთ საქმიანობა?

I. ნაბიჯი

პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სურსათის წარმოება / გადამუშავება / დისტრიბუცია / რეალიზაციასთან უნდა მიმართოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და განახორციელოს:

1. იურიდიული რეგისტრაცია;
2. შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა აკრძალულია! ითვალისწინებს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას, სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას !!!

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო

ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2;

სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;

სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 25 15 28

ელ.ფოსტა: info@napr.gov.ge

ვებ-გვერდი: https://napr.gov.ge

კონსულტაცია და საჭირო ინფორმაცია: (+995 32) 2 405 405;

ცხელი ხაზი: 08 009 009 09

II. ნაბიჯი

სურსათის საწარმოს მოწყობა შემდეგ დადგენილებათა მოთხოვნათა შესაბამისად:

- ✓ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის #173 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „სურსათის/ ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი“

- ✓ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესი“

დადგენილების მოძიება შესაძლებელია → matsne.gov.ge; nfa.gov.ge

- ✓ წინასწარ სასურველია კონსულტაციის გავლა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაზუსტებასთან დაკავშირებით შესაბამის საჯარო დაწესებულებას ან/და კერძო საკონსულტაციო ფირმებში.

III. ნახიჯი

აღიარებას ექვემდებარება იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომელიც: დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამამუშავებასთან.

ბიზნესოპერატორის საქმიანობა აღიარების ან პირობითი აღიარების გარეშე აკრძალულია! ითვალისწინებს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას.

აღიარებას არ ექვემდებარება იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომელიც:

- ✓ ახორციელებს ოჯახურ წარმოებას;
- ✓ ახორციელებს პირველად წარმოებას;
- ✓ ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამამუშავებას;
- ✓ მაღალმთიან რეგიონში ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამამუშავებას;

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
ქ. თბილისი, მარშალ-გელოვანის გამზ. #6;
სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 91 91 68
ელ.ფოსტა: info@nfa.gov.ge
ვებ-გვერდი: <https://nfa.gov.ge>
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 47 01 01

IV. ნაბიჯი

- ✓ თუ ბიზნესოპერატორი წარმოადგენს სასაკლაოს ან ახორციელებს ნედლი რძის თერმულ დამუშავებას, იგი ვალდებულია დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა „სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებზე დაყრდნობით.

V. ნაბიჯი

წარმოებული პროდუქციის ეტიკეტირება:

- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №441 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებით დამტკიცებული „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის #714 დადგენილება „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის #198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის #301 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერი #719 დადგენილებით დამტკიცებული „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტი“;
- ✓ საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ;

სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით !!!
იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში გამოიწვევს დაჯარიმებას 1200 ლარის ოდენობით !!!

VI. ნახიჭი

ნარჩენების მართვის სწორი კოორდინაციისთვის თანამშრომლობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურთან.

*ქ. თბილისი, ვ. გულუას ქ. #6;
სამუშაო დღეები: ორშაბათი- პარასკევი;
სამუშაო საათები: 09:00 – 18:00 სთ;
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 72 72 27
ელ.ფოსტა: pr@moe.gov.ge
ვებ-გვერდი: <https://moe.gov.ge>*

სერტიფიკაცია

ექსპორტისათვის განკუთვნილი სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებს, რომლის თაობაზე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო გასცემს შესაბამის სერტიფიკატებს:

- 1. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი** – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით დადგენილ სერტიფიკატის ფორმას და ადასტურებს, რომ ტვირთი აკმაყოფილებს ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს; ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს/რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს გასცემს: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ კონტროლის ზონებში – სსიპ შემოსავლების სამსახური. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი გაიცემა ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელების საფუძველზე, იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების გათვალისწინებით.

ფიტოსანიტარიული სერტიფიკაცია:		
ა) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ფიზიკური შემოწმების გარეშე	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	25 ლარი 100 ლარი
ბ) ექსპორტის/რეექსპორტის დროს ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება ტვირთის ინსპექტირებით	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	50 ლარი 100 ლარი
გ) საფოსტო გზავნილის, მგზავრის ბარგის, ხელბარგის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	30 ლარი 100 ლარი

- 2. ჰიგიენური სერტიფიკატი (ჰიგიენური დასკვნა)** – სურსათის/სურსათთან დაკავშირებული ტარის უვნებლობის ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ჰიგიენური სერტიფიკაცია ნებაყოფლობითია და ხორციელდება განმცხადებლის (მწარმოებლის/

დისტრიბუტორის, ექსპორტიორის) ინიციატივით. ჰიგიენური სერტიფიკატი გაცივმა როგორც დაფასობებულ, ისე დაუფასობებელ სურსათზე.

№ მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით)
სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიცირება (გარდა გამოფენაზე გასატანი ან/და ნიმუშად წარსადგენი სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარისა)	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	50 ლარი 75 ლარი 100 ლარი

3. ვეტერინარული სერტიფიკატი – ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) კოდექსების შესაბამისად, წარმოშობის ქვეყნის ან/და ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, ვეტერინარული კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ვეტერინარული სერტიფიკატი სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოდან ცხოველების, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტით.

№ მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით)
ექსპორტის დროს ვეტერინარული სერტიფიცირება	5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	50 ლარი 100 ლარი 200 ლარი

4. ნებართვები - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო გაცემს 2 სახის ნებართვას: 1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე; 2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციაა - ყველა სახის ცხოველი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ნედლეული, ცხოველთა საკვები (საკვებდანამატები), ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციაა - ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება.

ნებართვაზე განაცხადის შევსება და ნებართვის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვა გაიცემა 1 თვის ვადით.

ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისათვის ნებართვა გაიცემა მაქსიმუმ 6 თვის ვადით.

სააგენტოს მიერ ნებართვის გაცემის, მომსახურების გაწევის ვადა და საფასური (დღგ-ის ჩათვლით):

№ მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით)
1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	50 ლარი 70 ლარი 90 ლარი 100 ლარი
2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	25 ლარი 35 ლარი 45 ლარი 50 ლარი

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ასევე გაცემს:

5. შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატს - ინსპექტორების განხორციელების შედეგად თუ დადგინდა, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სსიპ

სურსათის ეროვნული სააგენტო გაცემს შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბიზნესოპერატორი ექვემდებარება აღიარებას, რა დროსაც სააგენტო გაცემს აღიარების სერტიფიკატს. შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი გაცემა უვადოდ. ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია, გაცემულ იქნეს განახლებული შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი. სერტიფიკატის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს: ინსპექტირების დროს ან/და გადამოწმების დროს აღმოჩენილი კრიტიული შეუსაბამობები. შესაბამისობის სერტიფიკატი უფასოა და მისი აღება ნებაყოფლობითია.

შემოსავლების სამსახური გაცემს:

6. წარმოშობის სერტიფიკატ EUR.1-ს

საქართველოდან ევროკავშირში საქონლის ექსპორტისას თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობისთვის, საჭირო იქნება საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის - EUR.1-ის აღება.



EUR.1 გაცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. EUR.1 სერტიფიკატის აღება (ასევე თურქეთში ექსპორტირების შემთხვევაში) სავალდებულოა, თუ ექსპორტიორს სურს ისარგებლოს საბაჟო-სატარიფო შეღავათებით. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოებული საქონელი ვერ აკმაყოფილებს წარმოშობის კრიტერიუმებს და ბიზნესოპერატორს მისი ევროკავშირში ან თურქეთში შეღავათების გარეშე ექსპორტი სურს, მას შეუძლია აიღოს არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი. ის, ასევე გაცემა სხვა ქვეყანაში წარმოშობილი პროდუქციის საქართველოდან ექსპორტის დროსაც (საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე).

წარმოშობის სერტიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში და ამ ხნის განმავლობაში

უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას, იმ ქვეყანაში მოქმედი პროცედურების თანახმად. ექსპორტიორმა, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია და წარმოშობის დეკლარაციის ასლი. მისი შემდგომი შემოწმება განხორციელდება არასისტემურად ან მაშინ, როცა იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას გაუჩნდება გონივრული ეჭვი დოკუმენტების ნამდვილობის ან მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსის მიმართ.

იმ ქართველი მეწარმეებისთვის, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე საკუთარი ნაწარმის შეტანა საბაჟო გადასახადის გარეშე სურთ, EUR.1-ის აღება უფასოა. საქართველოს ექსპორტიორებს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის აღება შეუძლიათ საქართველოს შემოსავლების სამსახურის შემდეგ სერვისცენტრებში:

- ✓ საბაჟო დეპარტამენტი, თბილისი
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი“
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტი“
- ✓ საქონლის გაფორმების სამმართველო: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კილომეტრი
- ✓ შემოსავლების სამსახურის რუსთავის განყოფილება
- ✓ შემოსავლების სამსახურის თელავის განყოფილება
- ✓ შემოსავლების სამსახურის ახალციხის განყოფილება
- ✓ შემოსავლების სამსახურის ქუთაისის განყოფილება
- ✓ გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“
- ✓ გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“
- ✓ გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“
- ✓ გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი“

EUR.1-ის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტებია:

1. განცხადება;
2. დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ, საქართველოს მთავრობის N420 დადგენილების N4 დანართის შესაბამისად;

3. კონტრაქტი;
4. ანგარიშფაქტურა (ინვოისი)
5. შესაბამისობის სერტიფიკატი ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტის შემთხვევაში.
საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს, საჭიროებიდან გამომდინარე, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 გაიცემა განცხადების რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში უფასოდ.
დამატებითი ინფორმაცია მოიპოვება შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.rs.ge/5037>

სსიპ შემოსავლების სამსახური
 მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. #16;
 ტელ. +995 (32) 2 29 92 99
 ელ-ფოსტა: info@rs.ge
 ვებ-გვერდი: [http// rs.ge](http://rs.ge)

სურსათის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნები




გეოგრაფიული აღნიშვნა არის გეოგრაფიული ადგილის სახელი, გამონაკლის შემთხვევებში, სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე (ადგილის სახელი ან მისი მიმანიშნებელი სხვა რაიმე აღნიშვნა) და გამოიყენება იმ საქონლის მოსანიშნად, რომლის განსაზღვრული თვისებები ან რეპუტაცია ამ გეოგრაფიულ ადგილთან არის დაკავშირებული, რაც თავის მხრივ, განპირობებულია აქ არსებული ბუნებრივი პირობებით და ადამიანის ფაქტორით. წარმოშობის ადგილი შეიძლება იყოს ქვეყნის ადგილი - სოფელი, ქალაქი, რეგიონი და თავად ქვეყანაც.

გეოგრაფიული აღნიშვნა მიუთითებს ადგილზე, რომელიც იქ წარმოშობილი პროდუქტის დამახასიათებელ თვისებებს განაპირობებს, ამიტომ გეოგრაფიული აღნიშვნის დანიშნულებაა, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია პროდუქტის წარმომავლობასა და იმ მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობის ადგილთან.

გეოგრაფიული აღნიშვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის საქონლისათვის, თუმცა სადღეისოდ ისინი ყველაზე ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში.

ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული აღნიშვნის განსაკუთრებული სახეობა. გეოგრაფიულისაგან განსხვავებით, ადგილწარმოშობის დასახელება შეიძლება იყოს მხოლოდ გეოგრაფიული ადგილის სახელი და იგი შეიძლება გამოიყენებოდეს ისეთი პროდუქტის მოსანიშნად, რომლის განსაკუთრებული (და არა განსაზღვრული) ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით. ამასთან, პროდუქციის დამზადებასთან დაკავშირებული მთლიანი ციკლი უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

ამდენად, გეოგრაფიული აღნიშვნის ცნება უფრო ზოგადია და მთლიანად მოიცავს ადგილწარმოშობის დასახელების ცნებას. ადგილწარმოშობის ნებისმიერი დასახელება გეოგრაფიული აღნიშვნაცაა, მაგრამ არა – პირიქით.





პასუხისმგებლობა

პირის პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება სურათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

მუხლი 64. პირის საქმიანობა ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის ან/და ბიზნესოპერატორად აღიარების გარეშე

„ბიზნესოპერატორი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.“

პირის საქმიანობა აღნიშნული რეგისტრაციის გარეშე გამოიწვევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას, სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას.

„ბიზნესოპერატორი ვალდებულია საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან/და საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ცვლილების შეტანის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“

პირის საქმიანობა აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით გამოიწვევს პირის გაფრთხილებას, ხოლო დარღვევის განმეორება – პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

„სავალდებულოა იმ ბიზნესოპერატორის აღიარება, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია:

ა) ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან, გარდა იმ ბიზნესოპერატორისა, რომელიც:

ა.ა) ახორციელებს ოჯახურ წარმოებას;

ა.ბ) ახორციელებს პირველად წარმოებას;

ა.გ) ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას;

ა.დ) მაღალმთიან რეგიონში ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას;

ა.ე) ახორციელებს პირველადი პროდუქტის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც ამ კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;

ა.ვ) ახორციელებს ფერმაში დაკლული ფრინველის და ბოცვრისნაირების ხორცის, ნანადირევი გარეული ცხოველისა და ფრინველის ან ნანადირევის ხორცის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც ამ კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;

ა.ზ) ახორციელებს ისეთი ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას, რომელიც არ საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ტემპერატურის კონტროლს;

ა.თ) ახორციელებს საცალო ვაჭრობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საცალო ვაჭრობა ხორციელდება ცხოველური წარმოშობის სურსათის სხვა საწარმოსთვის მიწოდების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა.თ.ა) საქმიანობა მოიცავს მხოლოდ ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას ან ტრანსპორტირებას;

ა.თ.ბ) ცხოველური წარმოშობის სურსათი მხოლოდ ერთი საცალო ვაჭრობის პუნქტიდან მეორე საცალო ვაჭრობის პუნქტს მიეწოდება ადგილობრივად;

ბ) იმ ცხოველის საკვების წარმოებასთან ან/და გადამამუშავებასთან, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“

პირის საქმიანობა ამ ეწისით გათვალისწინებული აღიარების გარეშე გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეწყვეტას.

მუხლი 65. ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღკვეთასთან ან ბაზრიდან გამომთხოვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა

- ✓ ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება ან ბაზარზე უკვე განთავსებული ან მომხმარებლისთვის მიწოდებული მავნე სურსათის/ცხოველის საკვების ბაზრიდან გამომთხოვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
- ✓ ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული სურსათის/ცხოველის საკვების ბაზრიდან გამომთხოვისა და ამ მიზნით მიღებული ზომების თაობაზე სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინებისთვის თავის არიდება გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.
- ✓ მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზრიდან დაუყოვნებლივ გამომთხოვასთან დაკავშირებით სააგენტოს მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 66. ცხოველის ჯანმრთელობისა და მცენარის მკვლელობისა და დაზარალების აღკვეთასთან დაკავშირებული პიტიუბაზის, ვალდებულებებისა და აღკვეთის ღონისძიებების შეუსრულებლობა

ხორცის ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე რეალიზაცია გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით და ხორცის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ან/და ბაზარზე უკვე განთავსებული ხორცის გამომთხოვას.

მუხლი 67. სურსათის/ცხოველის საკვების, პირველადი წარმოების მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, გამოვლენილი მონიტორინგის დროს გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

სურსათის/ცხოველის საკვების და პირველადი წარმოების მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, გამოვლენილი მონიტორინგის დროს გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 68. ბიზნესოპერატორის პასუხისმგებლობა შეუსაბამოების არსებობისთვის ან შეუსაბამოების აღმოჩენის შემთხვევაში პითითების შეუსრულებლობისთვის

- ✔ ისეთი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შესაძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მითითების შეუსრულებლობა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.
- ✔ არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მითითების ახალი გონივრული ვადის გასვლის შემდეგ შეუსრულებლობა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1200 ლარის ოდენობით.
- ✔ ისეთი შეუსაბამობის არსებობა, რომლის დროსაც აღმოჩენილია ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათი/ცხოველის საკვები და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შეუძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით და საწარმოო პროცესის შეჩერებას.

მუხლი 70. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის ხელის შეშლა

სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირთან თანამშრომლობაზე უარის თქმა ან უფლებამოსილების განხორციელებისას მისთვის ხელის სხვაგვარად შეშლა, მათ შორის, დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების მიუწოდებლობა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

მუხლი 74¹. სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა

სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში გამოიწვევს დაჯარიმებას 1200 ლარის ოდენობით.

მუხლი 74². ვადაგასული სურსათის/ცხოველის საკვების რეალიზაცია

ვადაგასული სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება საბოლოო მომხმარებლისთვის მისაწოდებლად გამოიწვევს მცირე ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა ბიზნესოპერატორისას - 500 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდულიზირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდულიზირებული პროდუქტის ტიკეტირების შესახებ

- ✓ სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდულიზირებული ორგანიზმებისა და გენმოდულიზირებული პროდუქტის ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი ეტიკეტირების წესების დარღვევა, მათ შორის, ეტიკეტირების შეუძლებლობის შემთხვევაში დადგენილი წესების დარღვევა, მათი ბაზარზე განთავსებისას და იმპორტისას, აგრეთვე თანმხლები დოკუმენტის არქონა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.
- ✓ იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.
- ✓ ბიზნესოპერატორის მიერ ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი ეტიკეტირების წესების დარღვევისას, მათ შორის, ეტიკეტირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ კანონით დადგენილი წესით სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდულიზირებული ორგანიზმებისა და გენმოდულიზირებული პროდუქტის ბაზრიდან გამოთხოვის და ბაზარზე განთავსების აღკვეთის განუხორციელებლობა, აგრეთვე შეუსაბამობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში განადგურების განუხორციელებლობა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

